კვირა, 4 ივნისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლოლას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

მეგობარი

№ 23

1917

შინაარსი: პატარა ფილეტონ — [illegible]. ყოფილ [illegible] თავადის [illegible]ქსი—გ. ჩიჭუა. [illegible]ეპშა[illegible]ისკ ნდერი. წეი[illegible]ტ[illegible]ლ[illegible] თვალია [illegible]ეი[illegible]ა—(თარგ.) დ. ჩ—ლი. [illegible]ახასეს ლექსები—მანასე ტ[illegible]ძ. [illegible]ა[illegible]ადა—ანდრონიკ. ნანა—ხ[illegible]ა დ[illegible]ლი. [illegible]ძმაკა[illegible] პ[illegible]ოვი[illegible]ცი[illegible]ში—[illegible]ძმაკი. გამოცანა [illegible]ლ[illegible]ობ[illegible]ლი. ქ[illegible]ლთ[illegible] კრებ[illegible]ზე—[illegible]ატ[illegible]ნა [illegible] კუპლეტ[illegible]ი. გოლგოთელი. მრეწველი—გოგია.

სურათები: გოლგოთაზე. უკანასკნელი წარმომადგენელი. შარეებ[illegible]. უ[illegible]ნ მ[illegible]ნის სარკე.

როგორ გავიგოთ?



ა. **გუჩკოვი** (მუშას) დიახ, მოვა დრო, როცა თქვენ ტალახში დაგივარდებათ ეგ წითელი დროშა თავისუფლებისა. მაშინ ჩვენ ავიღებთ და ავიტანთ იმ სიმაღლეზე, რომელიც მას შეეფერება.

პატარა ფელეტონი

სიკვდილის „ოტსროჩკა"

ჩემდა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ სიკვდილზე ფიქრი მხოლოდ მეხუთმეტე წლის მარტში დავიწყე, სახელდობრ, როცა ჩემმა მასწავლებელმა ანთიმოზ ყურგლეჯიაშვილმა მატემატიკაში ორი დამიწერა.

— არა ღირს ცხოვრება! ვაჟკაცს მათემატიკაში ორი აგაკრეს, ვის უნდა ეჩვენო შერცხვენილი და გაწბილებულიო, — ჩამჩურჩულებდა მარცხენა ყურში ვიღაცას იდუმალი ხმა.

— დიახ! უკაცრავათ! ვანო კონკილაძეს მეტემატიკაშიაც და წერაშიაც ორები აქვს, თუ კი ის არ იკლავს თავს, მე რისთვის უნდა მოვიკლა! —ჩამძახოდა მარჯვენა ყურში მეორე ხმა იდუმალი.

მეც დავფიქრდი და გადავდე სიკვდილი სკოლის გათავებამდე. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გავეცანი ძვირფას მოსაგონარ თეკლე როხროხაძის ქალს. ჩვენ შორის განსაცვიფრებელი დამოკიდებულება და მიწერ-მოწერა დამყარდა. ჩვენი ნაცნობობის მესამე წლის დამლევს თეკლე სოფლის ფერშალს მისთხოვდა. ეს გარემოება ჩემთვის თავზარდამცემი იყო და მე მყისვე თავის მოკვლა განვიზრახე. დროც იყო.

— აბა არა გრცხვენია?—ჩამძახოდა მარცხენა ყურის ხმა,—შენი სატრფო გათხოვდა, არაფრათ ჩაგაგდო, დაგიწუნა და მიგატოვა. ნუ თუ კიდევ გეცხოვრება ამ ქვეყნათ?

— სისულელეა და სხვა არაფერი!—გამოეხმაურა მარჯვენა ყურის ბინადარი,—პირიქით, უნდა დაუმტკიცო მას (თეკლეს), რომ ის მუხანათია და მას არ ეცხოვრება, არა თუ შენ. ქვეყანაზე თეკლე ერთი და ორი როდია.

მეც დავუჯერე და გადავდე სიკვდილი მეორე თეკლეს აღმოჩენამდე. იმ ხანებში ჩვენს ქვეყანას დიდი ცვლილება დაეტყო. ხალხმა გამოიღვიძა და სარევოლიუციო მზადება დაიწყო. ამ ამბავმა მეც ამიყოლია. თეკლე სულ დამავიწყდა და სიკვდილი ჩვენი ბოქაულის გადაყენებამდე გადავდე.

პირველი დღეები სარევოლიუციო მზადებისა მარცხიანი გამოდგა. მე დამიჭირეს და ციხეში ჩამსვეს. ჩემში კვლავ ბრძოლა გაჩაღდა სიკვდილ-სიცოცხლისა. ბრძოლაში ისევ სიცოცხლემ გაიმარჯვა და სიკვდილი ციხიდან გამოსვლის დროისთვის გადავდე.

ქვეყანა აბობოქრდა. ეს 1905 წელში იყო. არა თუ ჩვენი ბოქაული, თვით გუბერნატორიც სადღაც გაიპარა და ჩემ თვალწინ ბურჟუაზიული რევოლიუციის აჩრდილი დადგა. გაიმართა კამათი ამ საგანზე და როგორც მოსალოდნელი იყო კვალად სიცოცხლემ გაიმარჯვა:

— თუ ჩვენში ღმერთმა პარლამენტარული წესწყობილება მომასწრო, მერმე ჯანაბას ჩემი თავი, მოვკვდე, აღარ ვინანებ მეთქი, წარმოვსთქვი, როცა მღელვარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

რევოლიუცია დამარცხდა და ჩემს წინაშე სიკვდილის შავი აჩრდილი აიტუზა.

— აბა რას იტყვი?—ჩამძახეს მარცხენა ყურში, —იმედი დაიმსხვრა, ნუ თუ სიცოცხლე ღირს რათმე?

— დიახაც ღირს,—უპასუხა მარჯვენა ყურის დარაჯმა,—საჭიროა ბრძოლა გამარჯვებისათვის. დღეს თავის მოკვლა მხოლოდ სიმხდალე იქნებოდა.

მეც გადავდე სიკვდილი რევოლიუციის განმეორებამდე. ახლა ვრწმუნდები, რომ ჩემი ტაქტიკა ჭეშმარიტათ სწორი და სამართლიანი იყო. ათიოდ წელიწადი დამჭირდა ლოდინი, ვიდრე რუსეთის დიდი რევოლიუცია მოხდებოდა. ისიც მოხდა და იმედია სასურველათაც დაგვირგვინდება.

ამ გარემოებამ მაიძულა სიკვდილი რევოლიუციის დამთავრებამდე გადამედო. მაგრამ რაკი წარსული ისტორია თვალ წინ მაქვს, ადვილათ შემიძლია მომავალიც გავითვალისწინო.

ამ ბურჟუაზიული რევოლიუციის დამთავრების შემდეგ წარმოსდგება რიგში სოციალური რევოლიუცია და დარწმუნებული ვარ იგიც მოითხოვს სიკვდილის გადადებას. აქ უარის თქმა სოციალისტისათვის პირდაპირ შეუძლებელი იქნება.

როდესაც სოციალისტური რევოლიუცია დამთავრდება და ქვეყნათ სოციალიზმი დამყარდება, თავის თავად ცხადია სისულელე იქნება მაშინ თავის მოკვლა, ვინაიდან ამას აღარ ექნება არავითარი გასამართლებელი საბუთი.

ასე ჭანდრაკულათ არის ჩემი სიკვდილის საქმე.

მორიელი.

ყოფილი თ-დ კუკი ჩიჩუასგანა*)

შიიეფრთათ ჯიმალეფი ართი შურით ართი გურით
ართიანი ვაგი ბჯოგუათ ჯვეშობური საყვენდურით
ქოფთქუათ არგამათ ასეშახ მუთ ფუვლით
ქიმევრთათ იერიშით ჩქინი ტერიშა ვაიუით.

—

ჩიჩუობა ვააშენს გიჩქდანი თენა თაში
ვართი გიმოთირუარე ქირსეშიდო თანაფაში
ქოხვადნდა თქვანიანს მიდუღით მუში რაში
დო ქოხვადნდა ჩიჩუასთ ქუუწიით ვაშა ტაში.

—

ჯიმალეფი ექვეში გურით ნუმუჯინეთ ჩქინი თორს
ვაარწყეთო მუქ აღოლნი ნიკოლოზიში დიდი სტორს
ეშმაკენქ ქუუციუ მაწუალო იშიქონს
არძას თაში ღოლა მუდას უსამართლო დიდიკოს.

—

დეეჯერით ჯიმალეფი ვემიაქციათ ყურადღება
გვარი მუმა სქუალობას ქუუღუნდა ის ღირსება
დო თეწკელა დეკვრით ქე ტყვებუნო ხუთი გრძნობა
უსამართლოთ ვადასაჯათ იხვარით შურ გრძულობა.

—

ახალი კანონი მოხიოლ გიჩქდანი მა მიყორს
თის გუალუაფუქ, რადგან მცხვრე თიში მინდორს
მუდგარენი ვამონდთ მიჯინეთ შორი შორს
მარა მუჟამს მეხვადთნი დიწვურუნთ ბრელითორს.

—

მუქოთ თენა თაში რენი მოწამეთ პუნს დვალი
შხვა მოწამე მავამოკო დამიბაღლი ბერალი
დემოკრატენს ეს ვაფშქიდა გომირჩქინას სამართალი
ესტორუა დაუბაღ თეშა ქომღუნდა ბრალი

—

ზანური პრისტავი ირისთე სულუჩქიმი მოჯგირალა
ფუჩი აღთქმათ ენწყიმილი ჯატურიაში მეჯიმალა
კაზაკეფი დიფუჩუნა ეშაქომიღუნდა ბრალა
ოორონქ არძა მიოყოთ დვალი ერისთედო მუში ძალა.

გიორგი ჩიჩუა.

*) ეშმაკის მათრახის რედაქცია ბოდიშს იხდის მეგრელის არ მცოდნე მკითხველებთან, თარგმანის დაგვიანებისთვის. ახლო მომავალში ამ. ეშმაკი თითონ აპირებს სამეგრელოსკენ და იმედია ერასტ შეისწავლის თარგმანის მოსახდენად. **რედ.**

დეპეშები

—

ქ. **ბათუმი.** დაარსდა ბანქოს მოთამაშეთა პროფესიონალური კავშირი. გამგეობის წევრებათ არჩეული არია, სულ ხუთი კაცი: 1) ვ. ვახტანგაძე, 2) ი. გობრონოვი, 3) კ. ხოხობიანცი, 4) ს. ტუღუშბეგი და 5) ნ. ღლონტოვსკი. ბიურო მოთავსებულია ვასიკო ვახტანგაძის საპარიკმახეროს უკანა ოთახში. კავშირში ჩაწერა შეუძლია ყველას, ვინც თამაშობს „ბაქარას“, „ჩერეს“, „21“ ს, და „ვერტუშკის“, მხოლოდ საჭიროა გეორგოვის და გეგიშვილის „რეკომედაცია“ („კონჩინაის“ და „დურაჩკაის“ ცოდნა არ არის სავალდებულო). კავშირის ბიურო ღიაა საღამოს 9 საათიდან დილის ცხრა საათამდე. უქმეებზე ბიურო მთელი დღე და ღამე ღიაა. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ. რომ ბევრნი საპატიო პირები ვერ იქმნა არჩეული, მაგალითად როგორიც არიან დავითაშვილი, ხარიტონ გაფხეკილაძე, ტეხნიკი ჩამწვარაწე და სხვები, მაგრამ ეს უნდა მიეწეროს კავშირის წევრთა მოუმზადებლობას.

უსურვებთ ამხანაგებს მეტ ენერგიას თამაშობის განვითარების საქმეში. მოთამაშენო! მთელი ბათუმისა, შეერთდით!

კ—ს მ—თა პრ. კ—ს დროებით მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი:

ისკანდერ.

წერილი თვალთასაჯვისა

ის. გუჯევიჩი.

(თარგმანი)

მოქალექე ბებიაშვილი ოთახში შემოსვლისათანავე სავარძელში ჩაგორდა და საბრალო ხმით წარმოსთქვა:

— რა გვეშველება ნეტავი? სად მოვედით და საით მივდივართ?.. მე არ ვიცი, სად არის სადგური, ან შესასვენებელი პლატფორმები... სრულიად არაფერი არ ვიცი!.. ღვთის გულისათვის ამიხსენი, როელ პარტიას ვეკუთნი?

მე გამეცინა.

— ეს შენ თვითონ უნდა იცოდე!

— შენ კი როგორა ბგონია?

— მე ვფიქრობ, არც ერთ პარტიას არ ეკუთხი.

— საქმეც ეგ არის, რომ არც ერთ პარტიას არ ვეკუთნი. დროა კი ისეთია ახლა, რომ ყოველი მოქალაქე რომელიმე პარტიას უნდა ეკუთნოდეს.

— შენ პარტია ისე წარმოგიდგენია, როგორც საპოლიციო უბანი.

— თქვენ ეს მითხარით: უნდა ეკუთნოდე რომელიმე პარტიას თუ არა?

— რასუკუვირველია, უნდა ეკუთნოდე.

— რას მირჩევთ, რომელ პარტიაში ჩავეწერო? რაღაც სურვილი მაქვს სოციალისტ-რევლიუციონერი გავხდე.

— რატომ მაინც და მაინც სოციალისტ-რევოლიუციონერობა არჩიე?

— რევოლიუციის დროს ყველაზე უჯობესია რევოლიუციონერობა: ყველას ეცოდინება, რომ ახალი წესწყობილების მომხრე ხარ...

— ეს შესაძლოა იმ შემთხვევაშიდაც, რომ სხვა პარტიაშიდაც ჩაეწერო.

— მე ყოველთვის მომწონდა მემარცხნა პარტიები... იქ ძალიან გაბედული პირები, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევენ, სიტყვაც მახვილივით მკეთრი აქვთ...

— რატომ რევოლიუციის დროს არ ჩაეწერეთ პარტიაში?

— მაშინ ძალიან სახიფათო იყო. ახლა დრო შეიცვალა. „არსებული წესწყობილების“ დამცველი კანონები არქივში გადამალეს. ახლა მიზანი მიხწეულია: წესწყობილება ძველი დავმხო. ვინც ციხით იმუქრებოდა, თვითონ იქყიტება ციხის დარკინული სარკმელიდან.

— თქვენ, როგორც გაგიგია, მზა-მზარეული გეყვარებიათ.—დაცინვით შევნიშნე მე.

— დიახაც!—მხიარულათ მიპასუხა მოსაუბრემ.

ვიფიქრე: უნამუსოა თუ რეგვენი. ალბათ ორივე უნდა იყოს სანახევროთ.

ბებიაშვილი ცოტახნით ჩაფიქრდა. შემდეგ

— იქნებ სოციალ-დემოკრატობა სჯობია?

მე მხრები ავიჩეჩე. გაკვარების ნიშნათ.

მას გული მოუვიდა.

— რა ჩვეულებაა, ვერ გამიგია, გარკვეულ კითხვაზე ტანის მოძრაობით ეიგებ პასუხს. მგონი კითხვა ფრიად სერიოზულია!

— თუ სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიას იზიარებ, თუ მათ პროგრამას ემხრობი, თუ მათ თვალსაზრისზე დგახარ ..

— ე-ე-ე, შე დალოცვილო, მოყევი შენც ერთი წილადობილას; არ გითხარი არც ერთი პარტიის არაფერი გამეგება-მეთქი! მართალია, მსურდა ყველა პარტიების პროგრამების ყიდვა. მსურდა ყველა პროგრამის შესწავლა და შემდეგ პარტიის არჩევა, რომელიც უფრო მომეწონებოდა. მაგრამ მითხრეს: პარტიები პროგრამების გადასინჯვას აპირობენო. ვიფიქრე: კარგი, ვსთქვათ, პროგრამები შევისწავლე. ერთიც ვნახოთ, პარტიებმა პროგრამების მუხლები შესცვალეს. მე ხელახლა უნდა დავიწყო ახალი პროგრამების შეძენა და მათი გაზეპირება? არა, ჩემო კეთილო, ეს ხელსაყრელი არ არის ჩემთვის.

— მაშ, იცით რას გირჩევთ? დარჩით უპარტიოთ!—ვუთხარი მე და მეგობრულათ ბეჭებზე ხელი მოუცაცუნე.

— რაო; უპარტიოთო?

მე თანხმობის ნიშნათ თავი დაუქნიე.

— გმადლობთ ამისთანა რჩევისათვის! ივანე პეტრეს-ძე—სოციალისტ-რევოლიუციონერი, მარკოზ ლუკას-ძე სოციალ-დემოკრატი, მამუკა ბეკოს-ძე—სახალხო სოციალისტი, ივანე გიორგის-ძე—სოციალისტ-ფედერალისტი და მე კი უპარტიო? გმადლობთ რჩევისთვის, ისინი სარაიონო საბჭოში, კომიტეტში და სხვა ადგილებში გავლენ, მათ მხარს დაუჭერენ მათი პარტიები და მე ვინ უნდა დამიჭიროს მხარი?

გადავსწყვიტე სალაპარაკო თემა შემეცვალა:

— სად გიყიდიათ ქუდი?

— გოლოვინის პროსპექტზე... საშინელი სიძვირეა! მერე რას უყურებს ეს დროებითი მთავრობაა თუ რაღაც?! ან მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭოები რას აკეთებენ? ან სახელმწიფო დუმის კომიტეტი რას უცდის? პირველ ყოვლისა მათ უნდა მოეწესრიგებიათ...

— ქუდების საკითხი?!

— შენ იცინი და მე-კი ძველი ქუდით სიარული არ შემიძლია. ჩემთვის ქუდის საკითხი ისეთი საპროგრამო მუხლია, როგორც აგრარული!

მე კიდევ გულმოდგინეთ დავაცქერდი მას და შევიცვალე ჩემი შეხედულება მის შესახებ: ვიფი

რე, სანახევროდ-კი არა სამი მეოთხედი უნდა იყოს რეგვენი მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ვუთხარი:

— იცი, რა გითხრა? რომელ პარტიაშიდაც არ უნდა შეხვიდე, ყველა კმაყოფილი დარჩება შენი ჩაწერით.

კმაყოფილი ადამიანის სახით გაიღიმა, მაგრამ მაინც თავი მოიკატუნა და შემეკითხა:

— შენ მართლა ფიქრობ, რომ ასე იქნება?

— დარწმუნებული ვარ! შენ ერთად ერთი თითით საჩვენებელი პიროვნება იქნები პარტიის მთელ წევრებში!

— მეც უნდა გამოვტყდე, შენ რამოდენიმეთ მართალი ხარ. მე ორიგინალური, საკუთარი თვალსაზრისი მაქვს...

— ძალიან ორიგინალურიც!—დავუმატე მე.

— წარმოიდგინეთ ჩემთან კამათს ვერავინ ვერ ბედავს... მე პირველი სიტყვის წარმოთქმისთანავე პატივს ვაგრძნობინებ მოკამათეს ჩემი თვალსაზრისისადმი... ერთი სიტყვით, არავინ არ მეწინააღმდეგება, არ ვიცი რატომ?!.

— მე კი ვიცი!

— ამიხსენი მეც!

— არა, არ შემიძლია: ეს პარტიული საიდუმლოებაა. თუ ჩვენს პარტიაში დააპირებ შემოსვლას, მაშინ იძულებული ვიქნები, განვაცხადო მანამდე-კი არ შემიძლია.

— მაშ, სიტყვას მაძლევ, მითხრა, თუ რატომ ვიწვევ მე მოწინააღმდეგეში ჩემდამდი პატივს?

— არა, მე მაგის პირობას არ გაძლევ; მე მხოლოდ იმას აგიხსნი, თუ რატომ ვრავინ გეკამათება.

დასრულდა ჩემი საუბარი ბებიაშვილთან.

დ. ჩ—ლი.

ძანასეს ლექსები

ერთობა

გაბრწინდა ცა და ქვეყანა,
მზე ამოვიდა ცაზედა;
მოვიდა ჩვენი ერთობა
ჩვენს ტანჯულ ქვეყანაზედა...
— სად იყავ ჩემო ერთობავ!
ამდენ ხანს სად გიძინია?!
შენ რომ დაგვშორდი მას შემდეგ
ტკბილათ არ გამიცინია.
— მე, ხომ ძილი არ მიყვარდა,
მაგრამ მტერმა ბორკილ ქვეშა
დამამწყვდია დამაძინა,
და უდრტვინლათ გამაშეშა.
სიზრმად ვნახე: ბრძოლის ველზე
სისხლის ნთხევა იყო ძმათა,—
მინისტრები ყიდდენ ხალხსა,
თვით კი,—ლხინი გაემართა.
ნიკოს სახლის მეგობრებმა
არ დაინდვეს ჩვენი ძმები,
თვითონ ოქრო ჩაიჯიბებს,
დაიკიდეს მკერდზე ჯვრები.
მე შეეშფოთდი, გამეღვიძა,
ყველამ ძმურათ მომცა ხელი;
დავამსხვრიეთ კერპთ სამყარო,
წითელ დროშით გეახელი...

—

მოწოდება

გამოდით ძმებო! გამოდით
არავინ დარჩეთ მძინარი;
გათანასწორდა ღირსებით,
ღარიბები და მდიდარი.
გამოდით ბრძოლის ველზედა!
მტერს დავაპიროთ(?) თვალებში;
წითელ დროშის ქვეშ შეგროვდით,
ბიჭებო გენაცვალები!..
მსხვერპლი გავიღეთ უზღვავი,
ერთობის დასახსნელადა;
მუქთად ნაშოვნი როდია,
სისხლი ვანთხიეთ ველადა...

ხელი-ხელს მივცეთ ძმურადა,
ვერ გაგვტეხს გასაჭირია;
სისხლის წვეთამდე დავიცათ;
„ერთობა“ ჩვენთვის ძვირია...

—

ლოზუნგები

(საგარეო და საშინაო).

ჩვენ რათ გვჭირია სათათრე, —
გერმანია, და ავსტრია; —
როდესაც საკეთებელი,
შინ საქმე უხვად გვაყრია!..
ხალხი სუყველა ერთია
ერთობა არის კავშირი;
ვინც არ იწამოს, სასირცხვო
წაუსვათ პირზე ნახშირი...
ძველი დრო გადავაკეთოთ,
დროშები ავაფრიალოთ;
ახალ ჩარხზედა, ახალი
ქვეყანა ავატრიალოთ!..
მოისპოს ძველი მონობა,
,,ვაფრონტები'', და ',ჩესტია'', —
გულზე ჯვრები და მენდლები,
ქუდებზე მრგვალი ჟესტია!..
პოლიციის ნანგრევებში,
ძველი ვირთხაც აღარ დარჩეს;
ჩვენ ერთობას ვეთაყვანოთ,
იმის მომგონს იმის გამჩენს.
მღვდელ დიაკონს ხორაგები,
შემოაკლდათ უნდ თ რჩენა;
თოხს და სახნისს ეძმობილოს,
თუ რომ უნდა გამორჩენა.
ვაჭრებს გვერდი აუაროთ,
გავაშხიროთ „კოპერატი“;
დაამფერად ავაცილოთ,
ეათი ხროკი, მათი კვანტი...
დღეს ერთობა — სუფევს ქვეყნად,
უნდა გავხდეთ ყველა ძმურად;
ძირს დავამხოთ ქოფაკები,
ვინც გვიცქერის საწველ ფურათ...

—

ა რ ა კ ი

ამ ეთობის სასწაულით,
კაცებს დაემსგავსა მელა;
და ყოველი ტყის ნადირი
მოგვიჩოჩდა ნელა-ნელა...
დათვი, მგელი, ტურა, და სხვა
ჩვენი ცხვრებით განასუქი;
მოდის შიშით, მოკრძალებით,
მოუხურავს ჩვენებრ ქურქი.
თხოვნა მოაქვს: „კომიტეტში“,
ტანში უვლის ჟრუანტელი;
ამბობს: თქვენი პარტიის ვარ,
გლეხისა და მუშის მცველი. —
მაგრამ ფრთხილათ მეგობრებო!
კარგათ უგდეთ მაგათ ყური,
ძნელ, არის ტყის ნადირი,
უცფად გახთეს შინაური...

—

დ რ ო შ ა

დროშა ჩვენი ნიშანია,
ასპარეზზე გასატანი,
მტერს დაუხვდეთ მამაცურად
აღარ მივცეთ გასაქანი.
დროშა ჩვენთვინ ერთობაა, —
მტარვლების გლოვის ზარი;
დროშამ გაათანასწორა,
მუშები და სოვდაგარი.(?)
დროშას მისდევს ჩვენი ჯარი,
გუგუნითა და სიმღერით;
აღთქმის მხარის გზებს კაფავენ,
მტარვალებო ჩამოდექით...

მანასე ტ — ძე.

შარადა*)

შარადის დასაწერადა
კალამს მოვკიდე ხელია,
დღეს მოვიცალე და აჰა
გამოთქმასა შეუდექია.

*) ვბეჭდავთ ამ შარადას უცვლელათ იმისთვის, რომ კაიგონ შარადის მწერლებმა როგორი შარადა არ დაიბეჭდება ჟურნალში.

ეშმაკი.

პირველ ნაწილს შარადისას,
საყდრებშიდა გამოვნახავთ,
როდესაც, რომ წირვა დგება
ყოველთვინა რეკვენ მასა.
სახელს იმისას თავიდან
წავართვათ ორი ნიშანი,
სხვა გადავაგდოთ, არ გვინდა
უვარგისია რადგანაც.

—

აწ მოდი მნახე ცხოველი,
დიდ-ყურა და მშრომელი,
ამასაც კიდევ მოვსტაცოთ
ორი ნიშანი თავშიდა
და სხვები კი ეშმაკო
შიგ გადაუშვი მტკვარშიდა!

—

ორივე ერთათ შევკეროთ
სიტყვას მივიღებ ცნობილსა,
რომელსაც დღეს გაიძახის
მთელი რუსეთის ქვეყანა.

ანდრონიკო.

საამდროვო ნანა

(ხალხურ კილოზე)

I

მრავალ ტანჯულ გლეხის შვილო
მალხაზო თინაო
გაიღიმე გენაცვალე
რამ მოგაწყინაო...
სიხარულის ჟამი დადგა
ზეემ გაიცინაო,
ბნელით მოცულ ჩაგრულთ მხარეს
სხივი გაჰფინაო...
გამარჯვებულ ხალხის გუნდმა
დაიგუგუნაო,
ბორკილების დამსხვრევის ხმა
სოფელს ასმინაო
ნანა, ნანა გენაცვალე
ნანი-ნანინაო.

II

მრავალ ტანჯულ გლეხის შვილო
ნუ ხარ მტირალიო,
აწ შენ ბამას ვერ აწამებს
ძალა მტარვალიო.
ურცხვად ქრთამს ვერ გამოსტყუებს
„მოსე მწერალიო“
მშობელ დედას ვერ გიწამებს
უხეში ძალიო...
დაიძინე გენაცვალე
დახუქე თვალიო...

III

დღეს ყველას ტუჩს ღიმი უკრთის
და სიხარულიო,
დღეს „აღდგომის“ ზეიმს იხდის
ხალხი ტანჯულიო,
ტახტზედა ზის სათნოება
და სიყვარულიო...
გამარჯვების ჰანგზე მღერის
ბაღში ბულბულიო,
შენც იხარე გენაცვალ
გეყო ტირილიო.

IV

ნანა, ნანა გენაცვალე
ჩემო პატარაო,
დასამარდა იგი ძალა
ჩვენ რო გვაწამაო...
ცოდვის ზღუდე დაანგრია
რისხვის გრიგალმაო,
დახშულ სიმართლეს ეღირსა
მკედრეთით აღდგომაო...
აწ სოფელს ვერ ააოხრებს
პოლიციელიო,
ხალხს უბრალოდ ვერ დაარბევს
ბრიყვი უზრდელიო...
გაქრა, ზღუდეს გადანარცხა
ყველა ორგულიო,
დამაშვრალი ხალხის სისხლით
გასუქებულიო...
დაიძინე ჩემო კარგო
აწ ნუ გაქვს შიშიო,
გაიხარე, შორს ცრემლები
შორს, მოთქმა ვიშიო.

ხ. ვარდოშვილი.

ზოოლოგიური მუზეუმი

ეს ორი იშვიათი ცხოველი, რომელიც ინახება პეტროგრადის მუზეუმში თითქმის უკანასკნელი წარმომადგენელია რუსეთში კარგად ცნობილი ჯიშისა Mtarvalus Imperialis. ისინი იკვებებოდენ უმთავრესათ მოქალაქეთა სისხლითა და ცრემლით (მათ შორის პილატეს ცრემლითაც). უყვარდათ აგრეთვე სიბნელე და სიმკაცრე. მათი მძვინვარება შიშის ზარსა სცემდა არა თუ მარტო რუსეთს, არამედ მთელს აზიასა და ევროპას.

ეშმაკი პროვინციაში.

ბ ა თ უ მ ი.

კარგა ხანია ქ. ბათუმი არ მინახავს. ვნახე და მეუცხოვა. ჩვენი კორესპონდენტების ენით რომ ვსთქვა: „ის დღესაც იმავე ადგილას სდგას და იტკეპნება, სადაც ამ რამოდენიმე წლის წინეთ იდგა“. მეტსაც ვიტყვი: ის არა თუ ერთ ადგილას სდგას და იტკეპნება, არამედ უკან უკანაც მიდის.

მოგეხსენებათ ბათუმი ზღვის პირის ქალაქია და სამაჰმადიანო საქართველოს ცენტრს წარმოადგენს, (რასაკვირველია, ცენტრს არა გეომეტრიულს). კიდევაც ამიტომ შეკრებილიყვენ ამ ქალაქში სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელნი, რომელნიც მოუთმენლად მოელოდენ ჩემს ჩასვლას. საზოგადო სამსახური ჩემთვის ისეთივე აუცილებელი საარსებო საგანია, როგორც წყალი თევზისათვის და ჰორები ქუთაისისათვის. მაგრამ ვინაიდან მგზავრობით დაქანცულს მოსვენება მესაჭიროებოდა, იძულებული გავხდი აჭარელთა კრებაზე ჩვენი ამხანაგი აკაკი ჩხენკელი გამეგზავნა.

უნდა სიმართლე ითქვას, რომ აჭარლებს ჩემზე ნაკლებ არ უყვართ აკაკი ჩხენკელი და არც აკაკი ჩხენკელს უყვარს ჩემზე ნაკლებ აჭარლები. ამიტომაც იყო, რომ საგანგებო კომისარმა დაუზარელათ იკისრა დავალება და თავისი სტუმრობით აუწერელი სიხარული და აღტაცება გამოიწვია აჭარელ დელეგატთა შორის.

როგორც ყველა ქალაქში, ბათუმშიაც არსებობს ორი თანამედროვე რევოლიუციონური ორგანიზაცია:

ა) მუშათა დეპუტატების საბჭო და

ბ) ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

აქ არ არსებობს გლეხთა და თავად-აზნაურთა დეპუტატების საბჭოები. ეს გარემოება ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს. ჩემის აზრით ყველა ქალაქში უნდა არსებობდეს მუშათა და ჯარისკაც-დეპუტატთა საბჭოს გვერდით შემდეგი საბჭოები: ბურჟუაზიულ დეპუტატთა საბჭო, მღვდელთ მსახურ დეპუტატთა საბჭო, შავ-სამღვდელო დეპუტატთა საბჭო და სხვა და სხვა. შეიძლება ეს ჯერ-ჯერობით ნაადრევი იყოს, მაგრამ პერსპექტივაში მაინც უნდა ვიქონიოთ.

თავმჯდომარე მუშათა დეპუტატების საბჭოსი ამხანაგი გიზო ანჯაფარიძე ერთობ ენერგიული ახალგაზრდა კაცია.

საჯაროთ ვაცხადებ, რომ მე ძლიერ მეცოდებიან ყველა ისინი, ვისაც საზოგადოებრივი მათი მდგომარეობა ჩემი მხატვრული კალმის მსხვერპლათ ხდის. თუ საზოგადოთ არსებობა მოღვაწისა მოწამებრივ არსებობას წარმოადგენს, ამ მხრივ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება. სურათი ამხ. გიზო ანჯაფარიძისა, რა თქმა უნდა, თავს ვერ მოიწონებს თავისი მხატვრული ღირსებებით, მაგრამ ის, რასაც ის ჩვენ გვეუბნება, ჩემის აზრით, საკმაოა დღევანდელი რევოლიუციონური ვითარებისათვის.

თავმჯდომარე ჯარისკაც-დეპუტატთა საბჭოსი ამხ. მალხაზიანიც ერთობ ახალგაზრდა ენერგიული და მხიარული კაცია.

ამხ. მალხაზიანი.



გიზო ანჯაფარიძე.

უმთავრეს ყურადღების ღირსია ის მეგობრული განწყობილება და ძმური კავშირი, რომელიც არსებობს ამ ორ ახალგაზრდა თავმჯდომარეთა შორის და ეს უკანასკნელი გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ასეთივე კავშირი იქნება აგრეთვე ორ რევოლიუციონურ საბჭოთა შორისაც. განსაკუთრებით ეს შეხედულება განმტკიცდა ჩემში ქ. რიზეკენ მოგზაურობის შემდეგ და რაკი სიტყვამ მოიტანა არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიოთ ეგ შესანიშნავი მოგზაურობა.

ქ. რ ი ზ ე.

შავი ზღვა ყოველთვის შავი და სახიფათო იყო მგზავრთათვის, მაგრამ დღეს მასზე მოგზაურობა ასწილ გაძნელებული და გასაფრთხიანებულია. მიზეზი შიშისა ეგრეთ წოდებული სუბმარინები, ანუ წყალქვეშა ნავებია.

მიუხედავათ ამისა ჩემი ექსპედიცია არ შეუშინდა საფრთხეს და „მძვინვარე“ გემით გაემგზავრა ქ. რიზესაკენ. მშვენიერი ზღვა გულგაშლით ეგებოდა „მძვინვარის“ მახვილ ცხვირსა და მხიარულად ესალმებოდა გენზე მსხდომ ძვირფას სტუმრებს, (მათ შორის პატივცემულ აკაკი ჩხენკელსაც).

არ გაგვიელია ოციოდ ვერსი, რომ ჩემ გვერდით მდგომარე ბუნების მეტყველმა თავისი გამოცდილი თვალები მრისხანეთ დაბჯინა ლურჯი ზღვის ერთ ერთ წერტილს და ოდნავ შემკრთალი ხმით წამოიძახა:

— ამხანაგებო, ფრთხილათ! ჩვენ ალყა შემორტყმული ვართ.

უნებლიეთმა შიშმა მოიკრა ჩემი გული, ვინაიდან ჩემს თვალს მართლაც აუწერელი სანახაობა წამოუდგა. სულ რაღაც ასიოდ არშინის მანძილზე ჩვენი გემის წინ, ხუთმეტიოდე წყალქვეშა ნავი აღმოჩნდა. ისინი გასაოცარი სისწრაფით ხტოდენ და ყურყუმალაობდენ წყნარ ზღვაზე. იმათ თავხედურ გაბედულებას ძნელათ წარმოიდგენს ადამიანის გონება. ჩემი ამხანაგების აზრით თითოეული მათგანი ათიოდ საჟენის სიგრძისა იქნებოდა, მაგრამ მე ისე შეშინებული ვიყავი, რომ წყალქვეშა ნავი არშინ ნახევარი სიგრძისა გამომიჩნდა თვალში. მე ვერ შევნიშნე ვერც პერისკოპი, ვერც კაპიტანი და მით უმეტეს ვერც ასო „U“. გამოითქვა აზრი შესახებ იმისა, რომ ჩვენ მიერ შენიშნული საგანი მცურავი ნაღმი იყო და არა წყალქვეშა, მაგრამ ბუნების მეტყველმა თავისი ავტორიტეტიული აზრით ყოველივე ეჭვი გააქარწყლა. მართალია მატროსებმა „სუბმარინებს“ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და ის უბრალო „დელფინებათ“ (ზღვის ღორებათ) ჩასთვალეს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ მეზღვაურები საზოგადოთ თავზე ხელ-აღებულნი არიან და გარდა ამისა საბუნების-მეტყველო ფაკულტეტებიც არა აქვთ გათავებული. ასე იყო, თუ ისე, ჩვენ მშვიდობით გადავრჩით, ვინაიდან ნავები შეშინდენ და მიმოიფანტენ.

ქალაქი რიზე უმშვენიერესია ჩემ მიერ ნახულ ქალაქთა შორის. თითქო განგებო, აუარებელი ხალხი იქაც აკაკი ჩხენკელს მიელოდა. მეც ვისარგებლე ამითი და იმ დროს, როდესაც აკაკი ჩხენკელი მიტინგის წინაშე მხურვალე სიტყვას ამბობდა, მცირე გამოძიება მოვახდინე ბათუმ-ტრაპიზონის რკინის გზის შესახებ. მაგრამ ამაზე შემდეგ.

(შემდეგი იქნება)

ეშმაკი.

მრეწველი

ვოდევილი I მოქმედებათ.

(დასასრული)

კესარია. ვაი შენ და ზახრუმა! ის გოჯასპირი ჩემი მამთილის ბუშია, გესმის? ის ჩემი ქმრის ნამდვილი ძმა არ არის. ის შამული ჩემი ქმრის შემდეგ, ჩემი საკუთრებაა, გესმის?

ესიკელა (გვერდზედ) საკუთრება, თვარა დეი თვლი ასიანებს!

კესარია, რას ბუტბუტებ მაქანა?

ესიკელა არაფერს, ბატონო! რავა, თქვენ ქვრივი ბრძანდები თუ?

კესარია. გახლავართ, რა გნებავს მერე?

ესიკელა (განზე). ნამდვილ ლათ სამოთხეში შევიდოდა ცხონებული შენი ქმარნ, რაღაი შენთან უცხოვრია.

კესარია. რას ჩურჩულობ მაქანე?

ესიკელა. იმე! იმე ბატონო, აღარ დამალაპარაკებ! (განზე) რა ყოფილა თქვენი ჭირიმეთ!

კესარია. შენ რომ გელაპარაკები ასტე უთხა-

რი შენ ხაზეინს, რომ არაფერი მისცეს გოჯასპირს, თვარა ვერც ერთი ვერ მომრჩებით! ისე გაგიხდით საქმეს, რომ ბუზები გეხვეოდეთ.

ესიკელა (გაკვირვებით). აი! რეიზა ბატონო!

კესარია. (შეუტევს ფეხების ბრახუნით) ხმა, კრინტი!

ესიკელა. იმე, იმე!

კესარია. რომ გითხარი ისტე უთხარი, თვარა სულ თვალებს ამოგთხრი შე მაიმუნო შენა! შენ კესარიას ვერ იცნობ! (გადის).

ესიკელა. იმე! ეს რა კაჩაღი დედაკაცი ყოფილა! ფუ... დასწყევლოს ღმერთმა, რაღმე არ გამპუტა კაცი! ნამდვილად გაბედნიერებულა მისი ქმარი, რომ მაგ უჟამურს მოსცილებია! არა, რავა ხვარხვალობდა, რავა იკვანწებოდა! დედაკაცი კი არა ნამდვილი უჯმუჯურია ვინცხა ეშმაკია! (ისმის კარების რახუნი) ეე, კიდო მევიდა ვინცხა! ნამდვილი ღუბერნატორი ვარ მე და ჩემმა ღმერთმა, ისტე მნახულობს აი ხალხი! მობძანდით, პაჟალტე! (შემოდის შტეიგერი).

IX

ესიკელა და შტეიგერი.

შტეიგერი. Хозяйна нѣтъ дома?

ესიკელა. ნეტ, ვაში ბლაღაროდია!

შტეიგერი. А ты кто такой?

ესიკელა. ია ჩალოვეკ, ვაში ბლაღაროდია!

შტეიგერი Я знаю, что ты человѣкъ, но здѣсь у Битуришвили служишь?

ესიკელა. სლუჟიტ, ვაში ბლაღაროდია!

შტეიგერი. Но скажи хозяйну, что штейгеръ проситъ деньги за планы. Но смотри, не забудешь!

ესიკელა. და ბუდუ, ვაში ბლაღაროდია, აი ესეგდა ზდეს.

შტეიგური. Да нѣтъ, ты меня не понялъ. Я говорю не забывай. непременно скажи хозяйну что я говорю.

ესიკელა. ნე ბეზპაკოიცა, ბარინ, უმენია ბოლში დელა ნეტ. ვსე ხტო პრიდოტ დენგი პროსიტ ი ია ხაზეინ გავარიმ.

შტეიგერი. Не забывай, смотри! (გადის).

ესიკელა. იმე! ერთი კიდო თქვი ხო! გევიგეთ, ბატონო, გევიგეთ. შენსავით ყრუ კი არა ვარ. რას ჰგავს ეს ჯღინკი, რავა ორშიმოს მიუგავს პირი! (ისმის კარების რახუნი) ეე, მევიდა კიდო ვინცხა დოვლათი. მოდით, მოდით, თვარა დახურდავდა ხუთასიანები. წუღას არ იცვედეთ აქანე სიარულით ის გირჩევნიათ, თქვე უბედურებო.

X

ესიკელა, კანტრალიორი და მწონელი

კანტრალიორი. ესიკელა, ევტიხი არ მოსულა კიდო?

ესიკელა. არ მოსულა, ბატონო ჯერე.

კანტრალიორი (გაკვირვებული). ფული ეიღო კანტორაში და წამოვიდა. აბა სად წევიდა ნეტა!

ესიკელა. ვაიმე, ნამდვილ ახალ გასართობში. შეუხვევდა ბუკაიჩთან და სულ წააგებს იმ ფულს.

კანტრალიორი (დაფიქრებული). სად იქნება ნეტა!

მწონელი. იმე! რავა ბოვშივით კითხულობ! სად იქნება და ტრაქტირში. იმ ფულს ქე წააგებს და მერე უყარე კაკალი. ქე გითხარი მასთან საქმის დაჭერა არ ღირს თქვა და არ დამიჯერე. იქინე საწყალ მეურმეებს ტყავი გავაძრეთ და აგერ გადავყარეთ. რომ იძახოდი: „აჭამე ათი, ოუსვი ოცი“, რის იმედით! მე მეურმეებს მოვპარე და ევტიხიმ ბუკაიჩს მიართვა ბლუდით. რომ ვყვიროდი; „აჭამე ოცი, გ ეხ პაპალამ“. ნეტავი ჯამაგირს ეივღებდე თვარა ნაარმევი და ნაჭამი რაც ეიღო იგი შენთვის დაეილოცნია.

კანტრალიორი. წევიდეთ, იმას მე გაპოვინებ. (გადიან).

ესიკელა (გაკვირვებული). უყურეთ რაფერ ჰქონიათ მოწყობილი საქმე! „აჭამე ათი, აჭამე ოცი“. ვითამ მეურმეებს პოპარე წონაში და მერე ჩვენ და ხაზეინმა ერთად გევიყოთო. ვაი თქვენ პატრონს უბედურო! ნაარმევი კაცს არ შერჩება. წადით ეხლა და ბუკაიჩი გაგიყოფთ, ისტე იცოცხლოს თქვენმა გვარმა! (უცებ შემოვარდება ევტიხი).

XI

ესიკელა და ევტიხი.

ესიკელა. ბატონო, რავა წევიდა საქმე? ვაჟია თუ ქალი?

ევტიხი (გაფითრებული დაეშვება სკამზე). დეეიღუპე, ესიკელა, ქალია.

ესიკელა. ქალი დასწყევლოს ღმერთმა! მისე

დღემჩი ქალი შე კაცო, რავა შენ კარაბადინში მოგება არ გიწერია?!

ეგტეხი. რა ვიცი, ჩემო ესიკელა, ასტე კია და!

ესიკელა. ასტეა და შენც ქე უტიე პატარა, თვარა ქალბატონმა რომ გეიგოს ამდენი ფულის წაგება, სულ ბდღვირს გადაგაყრის თავზე. თელათ წააგე ბატონო?

ეგტეხი. ერთი გროში რომაა აღარა მაქვს. რავქნა ახლა რომ მოვადგება საღამოს ის ხალხი, სით გადავარდე, სად დევიმალო! ესიკელა, მე შენ ალ აგერ ოთ ხში და ვინც მევიდეს უთხარი სახლში არ არის თქვა.

ესიკელა. კი, ბატონო, ვეცდები თუ არ მომთელეს ლეკური ნაბადივით.

ეგტეხი. შენ ვინ რას გაგიბედავს! უთხარი სახლში არ არის თქო, მორჩა და გათავდა. (ბიდის მეორე ოთახში).

XII

ესიკელა მარტო, შემდეგ გოჯასპირი.

ესიკელა. ვაი, შენს პატრონს უბედურს. ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქ და იტირეო, სწორეთ ისტეა ჩემი ხაზეინის საქმე! აბა, მე ვის რა უნდა უთხრა! ნამდვილათ გამლახავენ მოვალეები არ უნდა ამას ბევრი ჩაჩინი.

გოჯასპირი (შემოვარდება ქაქანით). რეიქნა, ბოშო, შენი ხაზეინი? რავა იმალება! მე ვინცხა სალახანა ხომ არა ვგონივარ! იცოცხლოს გოჯასპირმა მე მაგას დღე დავაყენო.

ესიკელა. დღეი თვარა ბულვართან რომ სახლები აქვს ქუთაისს, იგი არ ოუწერო! ეს ხორცი რაც ჰქონდა ბუჭაიჩმა მოთალა თელათ და სული ჯერე სადავოა. ვინ იცის ანგელოზები წეიღებენ, თუ ეშმაკები!

გოჯასპირი. რას ტლიკონობ, ბოშო, რაის სულიო! მე ფული მინდა, გესმის, არენდის ფული, (შემოდის კესარია).

XIII

იგივე და კესარია.

კესარია (შემოიპრება). რაიო, ფულიო! ვერ მოგართვი პატრიჟანი! რა ფული, რის ფული!

ესიკელა. ტუნელის ფულს თხოულობს ბატონო! (გოჯასპირაზე აჩვენებს).

კესარია. რაიო! ვინ მისცა მაგას ტუნელი! ტუნელიც ჩემია და არენდიც მე მერგება.

გოჯასპირი (კესარიას). ბოშო, რომ ვეიგძელე ენა, რავა ვინ მოგცა შენ მამული?

კესარია. ვინ მომცა და ის მამული გაქლექილაძისაა და მე მისი ცოლი გახლავართ.

გოჯასპირი ცოლი თვარა გვირგვინმა კისერი მოგტეხა შენმა სიცოცხლემ! რამდენი ხასა ჩემ ძმას ყოლია, ყველას თუ წილი მივეცი ჩემს მამულში აშენდება ჩემი ოჯახი!

კესარია. იმე, იმე? ჩემ სალაპარიკოს რომ აგი ლაპარაკობს! ჩემს მამამთილს რამდენი ბუში ყოლებია ყველას თუ წილი მივეცი აშენდება ჩემი ობლების კერია!

ესიკელა (განზე). „ეშმაკები გუდებს ალბობდენ და ღვინო კი არსად იყოვო“, ისტეა სწორეთ აგენის საქმე. (ორივეს) ბატონო, რეიზა ილანძღავთ ტყვილა თავს! ჩემი ხაზეინი რავარც ხვლიკის კუდი ისტეა გაცქვლეფილი. მოცემით არ შეგეპამოთ ჭირმა, იმან თქვენ არაფერი მოგცეთ და ტყვილა გინება არც კი ეკადრება თქვენ აზნოურშვილობას.

გოჯასპირი. იმე, რას ამბობ, ბოშო! რამდენი ენა გატლეკილი დედაკაცი გამოვა, ყველა თუ აფხანიკათ გევიხადე მამულში, სად წავა საქმე! აზნოურშვილობა რას მიქვია! გავლანძლავ კი არა სულს ამოვთხრი კისერში.

ესიკელა. არა, ბატონო, მე ისტე მითომ ჩემი ჭკუით მოგახსენებთ, რომ არ არის კაი თქვა, თვარა ზდილობა თქვენ უკეთ იცით ჩემზე, სად აზნოურშვილი, სად გლეხი!

გოჯასპირი (ესიკელას). არა, რომ მედავება რას მედავება! (კესარიას) არა უსირცხვილოდ რომ შემოიჭერი რაება. .

კესარია. შენ ენა დეიმოკლე, თვარა იცოცხლოს კესარიამ მე შენ გაგჩეჩო.

გოჯასპირი (ერთი ნაბიჯით წაიწევს გაჯავრებული). არა, ვის უბედავ, შე უნამუსო შენა!

ესიკელა (გაკვირვებული) იი!

კესარია. რაიო, რა სთქვი ჯუჯავ, შენა!

ესიკელა. (კესარიას) იმე, იმე, ბატონო რავა გეკადრებათ. ასტე უნდა მაზლის პატივისცემა!

კესარია. ვაი მაზლებში გამომიწყდეს მაგისი თავი და ტანი.

გოჯასპირი (მიიწევს) ნუ ტლიკონობ თქვა, ბოშო!

ესიკელა (შუაში ჩავარდება). იმე, იმე, რავა

გეკადრებათ, ბატონო! აქანე ჩხუბი რავა შეიძლებაᲒ! (ისმის კარების რახუნი. შემოდის შტეიგერი).

XIV

ეგინოვე და შტეიგერი.

შტეიგერი (ესიკელას). Хозяинъ не приходилъ?

ესიკელა. ნიკაკ ნეტ, ვაში ბლადაროდია!

შტეიგერი. А гдѣ же онъ! что смѣется что-ли!

ესიკელა (თავისთვის). რა დროს სიცილია, შიმშილით მუცელი ხერხემალზე აქვს მიკრული. ნიკაკ ნეტ ვაში ბლადაროდია!

შტეიგერი. Я ему завтра же закрою тоннель!

ესიკელა (გოჯასპირს და კესარიას). ეე, თქვენ აქანე თავს აკლავთ ერთი მეორეს და ეს კაცი ხვალ ტუნელსა ჰკეტავს.

კესარია. მის ჯავრი ნუ გაქ შენ. მაგისთანა ქირიანები ჩემ ტუნელს ვერ დაკეტენ.

შტეიგერი (ათვალიერებს ევტიხის). Нѣтъ онъ навѣрно здѣсь прячется. Нѣтъ-ли онъ въ этой комнатѣ! (მიდის მეორე ოთახის კარებისკენ, ესიკელა წინ ეღობება და არ უშვებს).

ესიკელა. ნეტ ვაში ბლადაროდია! ხაზაიკა დომა ნეტ, ანა ვსიო ზაპირაიცა. (ამ დროს ევტიხი მეორე ოთახში ცხვირს დააცემინებს).

შტეიგერი (წინ წაიწევს). Это кто такой, не хозяйнъ ли чихнулъ!

ესიკელა (ცდილობს სიტყვა ბანზე აუგდოს). ეტა ნიჩავო, ბარინ. ეტო ეშაკ ბილ ნა კარუშნი

შტეიგერი. А гдѣ ты видѣлъ, что ешакъ чихалъ-бы?

ესიკელა. კლანუს ვამ ბოლუ შტო ეშაკ ბილ. (თავისთვის) ვირია აპა რა ჯანდაბაა! კვირაში ხუთას მანეთს ღღებს კაცი და ქვეყანას თავს ალანძღვიებს! (ამ დროს ევტიხი თავს გამოჰყოფს ოთახიდან და უნდა დაინახოს თუ ვინ და ვინ უცდიან, მაგრამ შეჰნიშნავენ. კესარია, გოჯასპირი და შტეიგერი).

შტეიგერი (ჯოხს მოუქნევს ესიკელას). Зачѣмъ же ты врешь! Вонъ гдѣ хозяинъ! გაეკიდებიან: (შტეიგერი, სოჯასპირი და კესარია).

გოჯასპირი. ეგერ არ ყოფილა! სად წამიხვალ, სად!

კესარია. იცოცხლოს კესარიამ მე შენ აგაპუტო ულაში. სად წახვალ, სად! (ყველანი მეორე ოთახში გაცვივდებიან ევტიხის დასაჭერათ).

XV

ესიკელა მარტო

ესიკელა (ვაკვირვებული). დედა, რავა წახდება კაცი! კვირაში ხუთას მანათს კაცი შოულობს და მევალეებს საქათმეში ემალება! მე და ჩემმა ღმერთმა რომე ხაზაიკა სულ არ არის გასამტყუნარი. გული მოუვი აპა რა ჯანდაბა იქნება! ბარიშნობისას სულ შანტიკროლის კაბით დეიარებოდა და ეხლა რაღაი მაგას გადაეკიდა, ჩითის რუბაშკაც კი ენატრება. დედა, რა სეირი იქნება, თუ ახლა ქალბატონმა მოუსწრო, ერთ ღერ ბანალს აღარ დოუტიებს თავზე, ისეთი ფიცხი ადამიანია.

XVI

ესიკელა და აბდულა.

აბდულა (შემორბის ქაქანით). ესიკელა, ხაზეინ ჰარდადირ?

ესიკელა. რა იყო, ბოშო, გახელებული ძაღლივით რომ შემოვარდი! ვამარჯობა არ იცი შენ?!

აბდულა. ბიჟო, რა დროს გამარჯუბა არის, ფული დამეკარგა! სად არის ხაზეინი!

ესიკელა (დაუსტვენს). ხაზეინ გეტტი!

აბდულა. ბიჟო, არდა გეტტი? მართალი უთხარი, მასხარა ნუ გააკეთა!

ესიკელა. მართალს გელაპარაკები, შენ არ მოუკვდე ჩემს თავს. შენ ხომ იცი ტყვილა არ დაგიფიცავ. (თავისთვის) ვაი შენს პატრონს უბედურს, ოავა შეგახმება ეგ შჩოტი!

აბდულა. ესიკელა, თუ კასი ხარ მართალი უთხარი, სად ზავიდა ხაზეინი!

ესიკელა. (იცინის) ხაზეინი გაფრინდა, აბდულ, გაფრინდა.

აბდულა. ბიჟო, შენ რას იცინია? უთხარი და! მართალი უთხარი რჯულის მადლმა თორემ კასი მოკალია!

ესიკელა. შენი მოკლული კაცი შენფერი იქნება, შენ ვის მოჰკლავ, შე ჩიყვიანო შენა!

აბდულა. ბიჟო, შენ როგორ ტუტუსი ლაპარაკია! მე მასხარა ხომ არა ხარ! დურაქ!

ესიკელა. (გაჯავრებული) დურაკიცახარ და ბალვანიც. გაეთრიე! (ხელს წაჰკრავს.

აბდულა. (ძალიან გაჯავრებული) თფუ!.. (მიფურთხებს) ქართანქალა ქოფოიოღლი! (გაჯავრებული გადის აბდულა სწრაფად, მაგრამ ამ დროს ძალიან დაღლილი, ნარბენი სწრაფათ შემოაღებს კარებს ევტიხი და აბდულას დაეტაკება, რომელიც ყირამალა გადავარდება და ზედ დაჰყვება ევტიხი).

XVII. ოგინ-ვე და ევტიხი.

ევტიხი. თფუ... დაგწყევლოს ღმერთმა! არა, რას დაეთრევი, შე დონღუზო შენა, რა გინდა!

აბდულა. (ძალიან გაჯავრებული) დონღუზი შენა და ვარ, ეშაქი და შენა ვარ! რა გინდა?! რა გინდა და ფული გინდა. შენი მუშები პური ჭამია, შენ ფული არ მოსემია, შენთან სურსხული არ არის, შენთან ნამუსი არ არის? ერთი კაპეიკი არ მოგცეს ოქსი თვე პური ჭამია! (ამ დროს ისმის კულისებიდან ხმა! სად წახვალ, ქვესკნელში ჩაგყოლი. Куда ты уйдешь каналя. შემოცვივდებიან: კესარია, გოჯასპირი, შტეიგერი, კანტრალიორი და მწონელი)

კესარია. (ევტიხის) ფული, ფული ეხლავე, თვარა თვალებს ამოგთხრი, შე მასხარავ, შენა!

ესიკელა. იმე, იმე! რა იყო, ბატონო, რა ამბავია!

გოჯასპირი. ფული ჩქარა, შე რაზბონიკო, შენა!

შტეიგერი. Ахъ ты каналя! Деньги скорѣе, а то убью!

ესიკელა. (შტეიგერს) შტო ტი კრიჩიშ, ვაში ბლაღაროდია!

შტეიგერი. (ესიკელას) Пошелъ ты подлецъ!

ევტიხი. (ესიკელას ეფარება) მოგცემთ, ბატონო. არ ამიღია ფული, ევიღებ და მოგცემთ.

აბდულა. სულ მოგსიმ, მოგსიმ. ეს გვირა მოქსიმ, ის გვირა მოგსიმ. როდის მოგსიმ და! ქოფოიოღლი! მართალი უთხარი, თორემ ვალლა მოგკალია,

ეველანი. ფული ჩქარა, თვარა ამოგაძრეთ სულ! (გარს ეხვევიან ევტიხის, ესიკელა იგერიებს).

ესიკელა. მეიცათ, ბოშო, მეიცათ, რა დაგემართათ!

ევტიხი. (ესიკელას ხვეწნით) მიშველე, ესიკელა, თუ კაცი ხარ.

ესიკელა. იმე, რაფერ გიშველო აწი! რომ იძახი აჩკი დესიტ რუბლეიო, ისტე იცის, აბა რავა გგონია! ფულია იგი იმ თუმნიანებს, რომ ისერი, თვარა კვანის კაკალი კი არაა! (ყველანი ესევიან ევტიხის, ესიკელა არავის უშვებს და წინ ეღობება, ამ დროს შემოირბენენ მეურმეები: დასვრილები, სახრეებით ხელში და მიაშურებენ ევტიხის. ესიკელა იფარავს ხაზეინს).

მეურმეები. (ევტიხის) ფული, ბოშო, ფული რა უქენი?

ევტიხი. მოგართმევთ, ბატონო, მაცალეთ ცოტა.

ესიკელა. ჯერ არ ოუღია, შე კიცო, მოგცემთ რა დაგემართათ!

მეურმეები. იი! არა, ვის ატყუებ შენა! რავა, ჩვენ არ ვიცით გგონია თუ! (ყველანი გარს ეხვევიან ევტიხის. დიდი ხმაურობა და ყვირილია. ესიკელა უკან-უკან იხევს და უნდა ევტიხი გააპაროს, მაგრამ შენიშნავენ და მივარდებიან)

ეველანი. სად წახვალთ, სად! (ევტიხი ფანჯარაში გადახტება, ესიკელა მას გადაჰყვება, მეურმეები მათ მისდევენ და თითო-თითოს უპირებენ სახრეებს ესიკელას და ევტიხის, მეურმეებს მისდევს შტეიგერი, რომელიც წაიფორთხილებს და წაიქცევა, ზედ დაეცემა გოჯასპირი, მათ ზედ დაჰყვება კესარია. აბდულა ქოშებს გაიხდის და ესვრის).

გოჯასპირი. (ყვირის) მიშველეთ, გამჭყლიტეს კაცი!

ეველანი. ვერ წახვალ, ვერა!

აბდულა. (ყვირის და ქოშებს ესვრის) არდა გედირსან, დონღუზ ქოფოიოღლი! ქართანქალ ქოფოიოღლი! ეშაქ ქოფოიოღლი! (დიდი ყვირილი და ხმაურობაა საერთოდ.

გოგია.

ფ ა რ დ ა.

სარეკვიოლიუციო კუპლეტები.

(ხონისთვის)

„დიანას“.

განთიადზე დაიბადე
ღრუბლებ შორის ბრძოლის ალში;
როს გიპოვე შემიყვარდა
ზღვის ჩოჩქოლი... ტალღათ ტაში..
დეე... სული შენს წინაშე
გარდაიქმნეს, გმირათ იქცეს;
ძველ ცხოვრების საძირკველიც
დაიმსხვრეს და მტვრათა იქცეს!!.

„პარტ. წრეს“.

ხელთ მიჭირავს ლალ ზურმუხტით
მოვერცხლილი თასი წმინდა,
და ეს გრძნობაც, ვფიქრობ, გულო,
თქვენს კალთაში აშიშინდა!(?)
დაე... სულმა ინავარდოს,
თქვენთან ერთად ღელვილ ზღვაზე..
და საერთო ტვირთი მძიმე
აიტანოს გოლგოთაზე!

„ძუხს“.

მოძრაობის ავანგარდო
ცხრაას ხუთის წითელ ზოლა,
დღეს ცხოვრების უკმეხ ტალღებს
ვინ ეკვეთა—შეებრძოლა?!
ხელთ აიღე საქე ძველი
დრო ბრუნვაში რო დააგდე,
ჩემთ მოძულეთ კერპთა შორის
მსურს მებრძოლათ შენა მყავდე!!

„ვისაც ეკუთვნის“.

თუ ინებებ კარგათ იცი
ჰეროსტრატემ რა ქნა გახსოვს?
შხამ-შარბათის ნაცვლად სული
თქვენს ქვენა სულს ცეცხლს ჩააქსოვს!

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 9 მ. —
6 თვით 5 მ. — კ.
3 თვით 2 მ. 50 კ.
1 თვით — 90 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

„ნოქრებს“.

თქვენ ხართ ბედის შეჩაქუჩე
სხვა ვინ არის თქვენს გარშემო?
წუთიერათ თქვენ მაჩუქეთ
ეს სიმღერა ღმერთო ჩემო!
  დაე თქვენმა სულის ლტოლვამ
  ააოხროს ყოფნა ძველი!
  და ეტრატზე თვით ააცვას
  მოწოდების სიტყვა წრფელი!!

„ხოლნს“.

ეს ვაპრული წესი მაინც
თანვე გდევს და არ გეშვება,
ვფიქრობ: სენი სიმანძილის
ნეტა როდის დაგორდება!?
  — რომ გზა წმინდა პოლიტიკის
  მით გაიკაფ-გაიჩალხოს...
  და სრულ ყოფილ სახემ შენმან
  სხვა გზა ჰპოვოს, გამონახოს!

ი. გოლგოთელი.

ფონდი

ილია და აბიბს მეგრელიშვილებისაგან მივიღეთ 5 მ. „ეშმაკის მათრახის“ ფონდის გასაძლიერებლათ 5 — „სხივის“.

უჩინ-მაჩინის სარკე*)



უფროსი მილიციისა. აი, მე ვ'ედავ შორს, შორს ქუჩაში მგზავრსა ძარცვავენ... აი იქ სადღაც ჯურღმულში ეშმაკმა ჩუმათ ერთი ჭიქა ღვინო დალია. დამნაშავე მყისვე ჩემს ხელში იქნება.

*) სიუჟეტი ნასესხებია „დედა-უნიდან“ (შებადურის შვილი).

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა **ვ. რუხაძისა,** გაბაევის შესახვ. № 1.